დანართი 1

მანანა ლობჟანიძე- დეკანის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;
გიორგი შამათავა- კომისიის წვრი;
კახაბერ ჭეიშვილი-კომისიის წევრი;
შორენა ერისთავი-პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი;
რევაზ გველესიანი-პროფესორი-კომისიის წევრი;
გულნაზ ერქომაიშვილი -ასოცირებული პროფესორი-კომისიის წევრი;
აკაკი მიქაბერიძე-მენეჯერი (საფინანსო საკითხებში) - კომისიის მდივანი;

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საშტატო განრიგით განსაზღვრულ პროფესორის ასისტენტის პოზიციაზე შესარჩევად კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წესის მიზანია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორის ასისტენტის შერჩევა.

მუხლი 2. საკონკურსო კომისიის ფუნქციები:
საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:
ა) საკონკურსო წესით სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორის ასისიტენტის შერჩევა.
ბ) კომისიას, მუშაობისას საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შეუძლია შესაბამისი დარგის ექსპერტის/ექსპერტების მოწვევა.

მუხლი 3. კონკურსანტის შეფასების წესი.
1. კომისია დაუსწრებლად აფასებს აპლიკანტის მონაცემთა შესაბამისობას უნივერსიტეტის განსაზღვრულ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორის ასისიტენტის თანამდებობრივ მოთხოვნებთან. აპლიკანტი, რომლის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც დააკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შესარჩევ კომისიასთან გაივლის გასაუბრებას.
2. აპლიკანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს აპლიკანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.
3. საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია აფასებს კონკურსის შედეგებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებას და გასაუბრების შედეგებს, რაც აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში/ოქმებში.
4. შერჩევის ეტაპების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორის ასისტენტის პოზიციაზე შერჩეულად ჩაითვლება ის აპლიკანტი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.

5. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატი დაინიშნება აღნიშნულ პოზიციაზე, მომზადდება სამართლებრივი აქტი და გაუფორმდება შრომითი ხელშეკრულება.

მუხლი 4. დავების გადაწყვეტა

კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.